მეგსგ

ალექსანდრ ბლოკი

საუბრები აზროვნებაზე

თარგმანი რუსული ენიდან
ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

გარეკანზე გამოყენებულია *უილიამ ბლეიკის* ნახატი:
დანტე გაურბის სამ მხეცს (1824-1827)
„ღვთაებრივი კომედია“ (ჯოჯოხეთი I, 1-90)

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
სამეცნ. რედაქტორი: ბაქარ როსტიაშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გარეკანის დიზაინი: ია გაბუნია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებგვერდი: AKTI.GE

© ელენე მამარდაშვილი
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6602-9

სარჩევი

წინასიტყვაობა....4

პირველი საუბარი....7
მეორე საუბარი....24
მესამე საუბარი....39
მეოთხე საუბარი....63
მეხუთე საუბარი....84
მეექვსე საუბარი....105
მეშვიდე საუბარი....122
მერვე საუბარი....143
მეცხრე საუბარი....164
მეათე საუბარი....184
მეთერთმეტე საუბარი....204
მეთორმეტე საუბარი....219
მეცამეტე საუბარი....241
მეთოთხმეტე საუბარი....260
მეთხუთმეტე საუბარი....283
მეთექვსმეტე საუბარი....304
მეჩვიდმეტე საუბარი....325
მეთვრამეტე საუბარი....346
მეცხრამეტე საუბარი....366
მეოცე საუბარი....385
ოცდამეერთე საუბარი....404
ოცდამეორე საუბარი....422
ოცდამესამე საუბარი....441
ოცდამეოთხე საუბარი....462

გთავაზობთ ლექციების კურსს, რომლებიც მერაბ მამარდაშვილმა 1986-1987 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა. უცნობია, კერძოდ რა ერქვა ამ კურსს თსუ-ის სასწავლო განრიგში, მაგრამ ლექციების 24-ვე შემორჩენილ აუდიოკასეტას აქვს მერაბ მამარდაშვილის მიერ ხელით გაკეთებული წარწერა Б.М. – Беседы о мышлении („საუბრები აზროვნებაზე“) და მითითებულია ლექციის ნომერი (პირველი გამოცემა 2000 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „აზროვნების ესთეტიკა“).

ამ მოკლე შესავალში იმის გაზიარება მსურს, რამაც ჩემი ყურადღება 2014 წელს მიიპყრო, როდესაც გამოსაცემად „გზის ფსიქოლოგიურ ტოპოლოგიას“, უფრო სწორად კი მერაბ მამარდაშვილის „უბის წიგნაკებს“ ვამზადებდი.

1972 წლის დასაწყისში, ზღვაზე მორიგი შვებულების დროს, მერაბ მამარდაშვილი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „პრუსტს ვკითხულობდი (რომელიც როგორც იქნა კვლავ გადავშალე): რასაც უნდა ამბობდეს ეს მომხიბვლელი და ჩემთვის ესოდენ ახლო მეტაფიზიკოსი, ფილოსოფია, ანუ გონებაჭვრეტა, რასაკვირველია, მაინც უფრო მაღალია, ვიდრე პოეზია, თუკი მათ იმ ეგზისტენციალური ძალისხმევის მხრიდან განვიხილავთ, რომელიც სიცოცხლის *მთელს* ეუფლება და ხელახლა კვლავაწარმოებს მას უკვე თავისი პირობებით, სულიერი მიღწევის მხრიდან, რომელიც რეალიზდება, როგორც ყოფიერების აქტი და მოვლენა მასში. ფილოსოფიაში ეს გაცილებით უფრო რთული და სუფთაა. პოეზია ისევე, როგორც ყოველგვარი ხელოვნება, ჯერ კიდევ დამძიმებულია მატერიით (ნაკლებად, ვიდრე „თვისებები“ და sensations, მაგრამ მაინც...) და ამიტომ მასში ძლიერია უნარის, ტექნიკის, არტისტული ხელობისა და „ხელოვნების“ მხარე, რომელიც არა მხოლოდ წინააღმდეგობას წარმოადგენს, არამედ საყრდენსაც. წარმატებას ამ შრეში შეუძლია, დაფაროს და დააკომპენსიროს არასრული წარმატება სულში და გამოისყიდოს ის. თუკი უნარისა და მატერიის გრძნობით ნიჭიერების მხარე შენარჩუნებულია, ვინ განსჯის გამარჯვებულ პოეტს, რომელმაც საქმის მსვლელობაში მატერიიდან უშუალოდ მხატვრული (და სიხარულით, თამაშით) აღქმადი ნაპერწკლები

გამოკვეთა, თუნდაც ის სულიერად მთელ საქმეს არც დაუფლებოდა? ფილოსოფიაში ის ერთი ერთზეა საქმესთან. Hic Rhodus, hic salta.[1] ყველაფერი სუფთაა. არანაირი უნარი არ არსებობდა და, შესაბამისად, არანაირი შესაძლო trompe-d'oeil[2], რომელსაც დამოუკიდებელი (და გარკვეულ შემთხვევებში დიდი) მნიშვნელობა და ღირებულება ექნებოდა შემოქმედებით შედეგებში. ეს ყველაფერი იმ აზრით კი არა, რომ პოეტს სულის იმავე სიმაღლეზე ყოფნა არ შეუძლია, რომელზეც ფილოსოფოსს, არამედ იმ აზრით, რომ პრინციპში პოეზია იძლევა შუალედური წარმატების, პარალელურ შრეში ნაწილობრივი წარმატების ასეთ შესაძლებლობას, ფილოსოფია კი არ იძლევა". ამ ჩანაწერს, რომელსაც ლექციიდან ათ წელზე მეტი აშორებს, მკითხველი უდავოდ იცნობს წიგნის საწყის პასაჟებში.

სხვა, უფრო ადრინდელ, 1971 წლის ჩანაწერს განსხვავებული ბედი ეწია. ჩანაწერი შესრულებულია პირად ისტორიასთან დაკავშირებით: „ჩემს ტვინში ფილოსოფიური სამყაროები თავმყორილიყო და, რასაკვირველია, ისინი დარჩება და მე მათ როგორღაც დავაწყობ, მე არ წავიქცევი ამ დაწყევლილი სამყაროს წინაშე და მის dreck[3]-ს გადავადნობ, მაგრამ ახლა მასში ნაღველი და სასოწარკვეთა, ღალატის წარუშლელი ბეჭედი იქნება. (...) ბოროტების გარდაუვლობის გამოცდილება". სიტყვა Dreck წლების შემდეგ გამეორდება „საუბრებში აზროვნებაზე" და ისევ ბოროტების გარდაუვლობის გაცნობიერების კონტექსტში: „...შეგრძნება, რომელიც ადამიანებს ყველაზე ხშირად სიყმაწვილეში ეწვევა, მომაკვდინებელია, ის ყოველივე კეთილშობილის, დიადისა და მშვენიერის აუხსნელი სიმყიფისა და აბსოლუტური განწირულების მომაკვდინებელი ცნობიერებაა. გასაკვირია, რომ ყოველივე მშვენიერი აუცილებლად იღუპება, ხოლო ყოველი, როგორც გერმანელები იტყოდნენ, Dreck, ცოცხლობს და ყვავის. ის აყვავებისთვის არის განწირული, ეს კი წამით გაკრთება და გაიფანტება, თითქოს არც არსებულიყოს". მაგრამ მერაბ მამარდაშვილის წინასწარმეტყველებას ღალატის, ნაღველისა და სასოწარკვეთის წარუშლელი ბეჭდის შესახებ ახდენა არ ეწერა: აზრისა და გაგების სიხარული იქცევა „საუბრების აზროვნებაზე" ლაიტმოტივად.

ელენე მამარდაშვილი

---

1. აი, როდოსი, აქ გადახტი! (ლათ.).

2. ოპტიკური ილუზიების შექმნის ტექნიკა (ფრ.).

3. სიბინძურე, ნაყარნუყარი, განავალი (გერმ.); ხარახურა, ნაყარნუყარი (ინგ. სასაუბრო).

პირველი საუბარი

ჩვენს საუბრებს შეგვიძლია აზროვნების ესთეტიკა ვუწოდოთ. ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, სიხარულია, ანუ არ არსებობს ჩვენ მიერ ხელოვნების რაიმე განცდა ან ხელოვნებით დაკავება, რომელიც ადამიანის განსაკუთრებულ გამსჭვალავ-მხიარულ მდგომარეობასთან არ იქნება დაკავშირებული. მარსელ პრუსტმა ერთხელ შენიშნა, რომ, შესაძლოა ხელოვნებასა და ლიტერატურაში ჭეშმარიტებისა და ტალანტის კრიტერიუმს შემოქმედის სიხარულის მდგომარეობა წარმოადგენდეს. სიხარულის მდგომარეობა შეიძლება მკითხველსა და მაყურებელსაც ჰქონდეს. როგორია სიხარულის მდგომარეობა, რომელიც, ამასთან ერთად, შეიძლება, ჭეშმარიტების კრიტერიუმიც იყოს? შეიძლება ითქვას, რომ აზროვნებას თავისი ესთეტიკა აქვს, რომ აზრი (ის აზრი, რომლის შესახებაც მსურს თქვენთან საუბარი, აზრი, რომელთან კავშირშიც წარმოიშობა შეკითხვები: რას ნიშნავს ეს? ადამიანის როგორი მდგომარეობებია ისინი? რისთვის არის საჭირო?), რასაკვირველია, სიხარულს უკავშირდება, დროდადრო კი – ადამიანის ერთადერთ სიხარულს.

ზოგჯერ ან ყველაზე ხშირად ჩვენ არაფერი გვრჩება, გარდა იმისა, რომ აზრის (თუნდაც აზრის) ნათელი სიხარული მივიღოთ. სხვა სიტყვების დამატებაც შეიძლება: უფრო ხშირად ადამიანის ღირსება იმით გამოიხატება, ან შეიძლება გამოიხატოს, რომ პატიოსნად მაინც იაზროვნოს. ჩვენ მრავალ რამეს ვაკეთებთ იძულებით და ხშირად ის, რასაც ვაკეთებთ, არ არის დამოკიდებული ჩვენს გმირობასა ან სიმხდალეზე, მაგრამ არსებობს გარკვეული მომენტი, როდესაც ჩვენ ბუნების ან საზოგადოების ყველა ძალის მიუხედავად, პატიოსნად აზროვნება მაინც შეგვიძლია. მე დარწმუნებული ვარ, რომ

ყოველმა თქვენგანმა, მიუხედავად იმისა, მოგიხერხებიათ თუ არა მხოლოდ პატიოსნების მდგომარეობაში, არამედ პატიოსანი აზრის მდგომარეობაში ყოფნა, იცის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც განიცდის ადამიანი, როდესაც აენთება უცნობი ადგილიდან წამოსული ნაპერწკალი, რომელსაც ღვთიური ნაპერწკალი შეგვიძლია ვუწოდოთ. არსებობს გამსჭვალავი, მტანჯველი სიცხადის, განდგომილებისა და ნოსტალგიური, უმწვავესი, ნაღვლიანი და მოტკბონაღვლიანი სიცხადის მდგომარეობა. აზრში (იმაში, რასაც მე აზრს ვუწოდებ და რაც ჯერ ჩვენ არ ვიცით) უბედურების აღქმაც კი შეიძლება მოწკრიალე, გამსჭვალავ და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მხიარულ ნოტზე. მაგრამ რა შეიძლება, სასიხარულო იყოს უბედურებაში? მხოლოდ ის, რომ შენ აზროვნებ, ანუ შენი ცნობიერების ცნობიერება. სასაცილოა იმის ფიქრი, რომ, როდესაც რაღაც გტკივა, სწორედ ამის გამო შეიძლება სიხარული – სიხარული მხოლოდ იმით შეიძლება, რაც ამ ტკივილში გამსჭვალავი სიცხადით გამოვლინდა. შენ ხელებჩამოშვებული უყურებ და, მიუხედავად ამისა, არავის შეუძლია შენთვის იმის წართმევა, რასაც ხედავ (თუ *ხედავ*).

ამ მდგომარეობის განცდა ყველას შეუძლია. მაგრამ, ჯერ ერთი, მისი ახსნა რთულია და, მეორეც, ის სხვა მდგომარეობებშია განზავებული. ასეთი მდგომარეობა შეიძლება გაუზიარებელი სიყვარულის სიტუაციაში შეიქმნას და მისი განცდისას ჩვენ, ბუნებრივია, საკუთარ თავს ამ სიყვარულთან ვაიგივებთ, არ გამოვყოფთ ერთს მეორისგან. მიუხედავად ამისა, ის, რის შესახებაც მე ვსაუბრობ, არის აზრი და არა სიყვარული. ან [ასეთი მდგომარეობა შეიძლება ისეთ დროს შეიქმნას][1], როდესაც ჩვენ ასეთივე გასაოცარი სიცხადით შეგვიძლია სამართლიანობის დანახვა. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შებმული ორი მტრის დანახვა, რომლებიც ერთმანეთს ყელს უჭრიან და ვიცოდეთ, რომ ისინი ღვიძლი ძმები არიან, მაგრამ თავად მათ ეს არ იცოდნენ. შენ იცი, შენ ხედავ. ამის გამოხატვა არ შეგიძლია, რადგან არ შეგიძლია, რომ იმის ცნობიერება, თუ როგორია სხვა ადამიანის მოქმედებათა ბუნება, თავს მოახვიო ამ სხვა ადამიანს, თუ ის საკუთარ თავს ვერ იგებს – იგი ვერ იგებს, რომ ის, ვინც მას სძულს, სინამდვილეში მისი ძმაა. გვერდიდან შენ ცხადად ხედავ მის მდგომარეობას, თავად ის კი ვერ ხედავს. შენს თვალწინ ტრაგიკულად შეება მტრობისა და სიძულვილის გარემოებები, შენ კი ამ შეტაკების სხვა აზრს ხედავ აბსოლუტური, მაგრამ დაუმტკიცებელი სიცხადით, თუმცა ვერც საკუთარ თავს უმტკიცებ [ამ სიცხადეს] და, მით უმეტეს, ვერც ამ

1. აქ და შემდეგ წიგნის ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში რუსული ტექსტის რედაქტორის დამხმარე ჩანართებია მოცემული.

ბრძოლაში შებმულ მტერ ძმებს და, გარდა ამისა, მათი დახმარებაც კი არ შეგიძლია. მაგრამ, რადგან *ხედავ*, სიხარულის ნოტი მაინც არსებობს – რაც არ უნდა მოხდეს, როგორც არ უნდა ხოცონ მათ ერთმანეთი, საითაც არ უნდა დაიძრას სამყარო, თუ შენ ეს დაინახე (ის, რასაც აზრი, ანუ ჭეშმარიტება ეწოდება), ამის წართმევა უკვე შეუძლებელია – ეს იყო, ეს მოხდა, ეს შეუქცეველია. შესაძლოა, სწორედ ამ შეუქცეველ აღსრულებადობას უკავშირდებოდეს კიდეც ეს სიხარული.

მაშასადამე, სიხარული შეიძლება იყოს აზრის ასეთი შეუქცეველი აღსრულებადობის გრძნობა. მის მიმართ შეიძლება სიტყვის „ესთეტიკა“ გამოყენება, ეს უკანასკნელი კი აუცილებლად გულისხმობს რაიმე გრძნობითს – ესთეტიკა[2] განუყოფელია სენსუალური, გრძნობითი მომენტისგან. სიტყვას ხომ თავისი გრძნობითი მატერია აქვს, მას გრძნობითი სიხარული მოაქვს. და, ფერები, ფერი? თუმცა ფერი ატარებს აზრს, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენს გრძნობებსაც ახარებს. ამ თვალსაზრისით, აზრი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. ბარატინსკის[3] ერთ ლექსს წავიკითხავ...

არსებობს და ხდება ძალიან უცნაური დამთხვევები (ამის შესახებაც მომიწევს საუბარი, რათა უხერხულობა არ იგრძნოთ და არასრულფასოვნების კომპლექსი არ გაგიჩნდეთ იმის წინაშე, რომ თემა ესოდენ მაღალია, აზროვნების ამაღლებული საქმის წინაშე; რათა ის ცნობიერება არ გქონდეთ, თითქოს უმნიშვნელონი ხართ, დიად მოაზროვნეთა აზრები კი დიადია და თქვენ მათ ვერ მისწვდებით). ჯერჯერობით მე ამას პირობითად კოინციდენციას, ანუ დამთხვევას ვუწოდებ. შემდეგის თქმა მსურს: თუ რაღაც განიაზრეთ, ეს თქვენია, თუნდაც ვინმეს ეს უკვე ნათქვამი ჰქონდეს და ეს არსებობდეს. რასაკვირველია, რთულია იმ კრიტერიუმის განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც განაზრებულს განუაზრებლისგან განასხვავებდით, ჩვენ კი ჯერჯერობით ინტუიციის დონეზე დარჩენა მოგვიწევს. ეს ბნელით მოცული საკითხი იქნება მანამ, სანამ ამ თემის ყველა განტოტებას არ გავივლით. ამგვარად, თუ რამ განაზრებულია თქვენ მიერ, ეს თქვენია, თუნდაც ის სხვა ადამიანის აზრს თანხვდებოდეს.

ხშირად გვიწევს ამაზე დაფიქრება, როდესაც განსაზღვრული სახის მსჯელობას ვხვდებით. მაგალითად, ადამიანებს ძალიან უყვართ იერარქია: რა უფრო მაღლაა და რა – დაბლა. იღებენ უსასრულო პრობლემებს: რა უფრო

---

2. სიტყვა ესთეტიკა წარმოდგება ძველბერძნული სიტყვიდან αἴσθησις – გრძნობითობა (*აქ და შემდეგ – რუსული ტექსტის რედაქტორის შენიშვნები*).

3. ევგენი ბარატინსკი (1800-1844) – რუსი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი – მთარგმნელი.

გამომცემლობის მიერ გამოცემული
მერაბ მამარდაშვილის წიგნები

1. საუბრები აზროვნებაზე
2. კარტეზიანული განაზრებანი
3. ცნობიერება და ცივილიზაცია
4. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
5. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები